ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2974957

ნომერი: AR1458367

თარიღი : 21.11.2016

გაცემის თარიღი : 01.12.2016

გაცნობის თარიღი : 02.12.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სანვარ მალ --- პ/ნ 01092002229
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 14 ბ. 94

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1458367 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##81.08.16.523, 81.08.16.527, 81.08.16.526) გაერთიანებასა და სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
არქიტექტურის სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ არის წინააღმდეგი გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, მოცემული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##81.08.16.523, 81.08.16.527, 81.08.16.526) გაერთიანებასთან დაკავშირებით.
დამატებით ინფორმაციის სახით გაცნობებთ, საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: #81.08.16.526) არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (14.11.2016 წლის ბრძანება №2923469), საწყობის (სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი) განთავსების მიზნით. ხოლო, საკადასტრო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში საჭიროა ცვლილების შეტანა არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. რისთვისაც, ელექტრონული განაცხადი უნდა ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“ , „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება“.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.